

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
მე-16 მუხლის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მოთხოვნების
შესრულება;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლისათვის ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით
მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო
კლასიფიკაციის შესაბამისად;

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების
წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების
წყაროს წარმოდგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის
შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო
მაჩვენებელი შეადგენს 154,361.6 ათას ლარს.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 73,153.6 ათას ლარს. მათ შორის:

ქონების გადასახადი - 25,200.0 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადი - 47,953.6 ათასი ლარი.

ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 28,400.0 ათასი
ლარით: მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები
კაპიტალური ტრანსფერი - 28,400.0 ათასი ლარი;

2019 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო
მაჩვენებელი განისაზღვრა 43,008.0 ათასი ლარის ოდენობით:

• საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა
2,070.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 500.0 ათასი ლარის მობილიზება;
 - დივიდენდები სახით დაგეგმილია 500.0 ათასი ლარის მობილიზება;
 - რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,070.0 ათასი ლარის ოდენობით.
 - საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 35,338.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:
 - ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 35,338.0 ათასი ლარის ოდენობით.
 - ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,700.0 ათასი ლარის ოდენობით.
 - შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 900.0 ათასი ლარის ოდენობით.
- არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 9,800.0 ათასი ლარით.

პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 154,361.6 ათას ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 60.1% - 92,837.1 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:
 - შრომის ანაზღაურება - 22,264.4 ათასი ლარი;
 - საქონელი და მომსახურება - 36,875.1 ათასი ლარი;
 - პროცენტი - 5,340.0 ათასი ლარი;
 - გრანტები - 25.5 ათასი ლარი;
 - სუბსიდიები - 13,739.7 ათასი ლარი;
 - სოციალური უზრუნველყოფა - 9,160.8 ათასი ლარი;
 - სხვა ხარჯები - 5,431.6 ათასი ლარი;
- მთლიანი ასიგნებების 29.1% - 44,904.0 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე (შეძენაზე).
- მთლიანი ასიგნებების 1.5% - 2,380.0 ათასი ლარი მოდის ფინანსური აქტივების ზრდაზე (შპს-ების კაპიტალის ზრდაზე).
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 14,240.5 ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 9,2%-ია.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

ვ) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი